მშობლების როლი რეგიონში მცხოვრები მოზარდების სექსუალურ განათლებაში

ნათია ნერგაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მუშაკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა - სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი, მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2014

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყვებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია ნერგაძე

22.01.2014

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია მოზარდის სექსუალური აღზრდის საკითხები საქართველოს რეგიონებში, კერძოდ, ბაღდათის რაიონში. ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა მოზარდობის პერიოდის მიმოხილვას. მთავარი აქცენტი გაკეთებულია მოზარდის სექსუალურ განათლებაზე, კერძოდ, საიდან, ან ვის მიერ ხდება მოზარდისათვის გარკვეული ინფორმაციის მიწოდება, მშობლები რა მონაწილეობას ღებულობენ და ა.შ. საკითხის შესწავლის მიზნით ბაღდათის რაიონის ერთ-ერთ სკოლაში ჩატარდა მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვა თვისებრივი კვლევის მეთოდის, ფოკუს-ჯგუფის საშუალებით. მიღებული შედეგები არასაკმარისია ზოგადი სტატისტიკური მონაცემების დასადგენად, თუმცა გარკვეულ საწყის წარმოდგენას შეუქმნის ამ საკითხით დაინტერესებულ სოციალურ მუშაკებსა და მკვლევარებს.

მოცემული კვლევის შედეგები სოციალურ მუშაკებს დაეხმარებათ მოზარდებთან და მათ მშობლებთან მუშაობის დროს. ნაშრომში მოცემულია რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა მოხდეს მშობლების ჩართულობა, რა საკითხებზე უნდა გაამახვილონ მათ ყურადღება შვილების სექსუალური აღზრდის დროს და ა.შ. ნაშრომის მთავარი მიგნებაა მშობლის როლის აქცენტირება შვილის სექსუალურ აღზრდაში.